ჟამიანობა

თამარ ქუთათელაძე

საკვანძო სიტყვები: *ქართული თეატრი, ეპიდემია, ჩაპეკი, ნემსაძე, ქანთარია, დობორჯგინიძე, ხუსკივაძე*

თანადროული სინამდვილე უაღრესად საინტერესო, მრავალი გაუთვალისწინებელი სირთულით დატვირთული აღმოჩნდა, რაც თავისთავად ახალ გამოწვევებს გვთავაზობს. იგი უსწრაფესად მოითხოვს ჩვენგან სულ უფრო ახალ, არაპროგნოზირებად სინამდვილესთან ადაპტირებას, კრიტიკულ აზროვნებას, მობილურობას, სწორი რეაგირების ფორმების შემუშავებას. ვფიქრობ, ამ არცთუ უხიფათო რეალობაში, თავად სათეატრო ხელოვნების მოღვაწეებმაც უნდა გაითვალისწინონ შექმნილი სიტუაცია და მოიძიონ ახალი ათასწლეულის მთავარ პრობლემებზე ზუსტი რეაგირების ფორმები, საზოგადოებასთან ურთიერთობის ამაღლების, კონსოლიდაციის, შექმნილ კრიზისულ ყოფაში მესამე ხელისუფლების აღსრულების პრაქტიკულად საჭირო მეთოდები.

XXI საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში კვლავ გაისმა ჩვენი ყოველდღიური ყოფისათვის თითქმის გაუცხოებული ცნებები, - პანდემიათა სერია, ომი, ფაშიზმი, სამყაროს აღსასრულის მოახლოების, განკითხვის დღის, მეორედ მოსვლისა თუ სხვა მოსალოდნელი აპოკალიფსური თემები. დღევანდელმა საზოგადოებამ ისევ გაიხსენა გასული საუკუნის დასაწყისში შექმნილი, ამჯერად თითქოსდა მოძველებული ნაშრომები და პიესები, ახალი თვალთახედვით დაიწყეს ახლო წარსულის განჩხრეკა, რთული პერიოდების ანალიზი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდა გონივრული სიმშვიდის შენარჩუნება, ჯანსაღი აზროვნების გააქტიურება, სწორი დასკვნების გამოტანა. გაცხადდა, რომ ისტორია მეორდება და XXI საუკუნის დასაწყისი ლამის ნათესაურ კავშირში იმყოფება XX საუკუნის 20-იან წლებთან. ამიტომაც გამორჩეულად საინტერესო აღმოჩნდა კამიუს „შავი ჭირი!“, მრავალი წლის მანძილზე უტოპიურ თხზულებებად აღიარებული ნაშრომები. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაც შეეხმიანა ჩვენს რეალობაში წარმოქმნილ ცვლილებებს. მიმდინარე სეზონში დაიდგა სოსო ნემსაძის მიერ განხორციელებული კარელ ჩაპეკის „თეთრი ჟამი“, ალექსანდრე ქანთარიას „მარიამობის თვე 1924“, სულ მალე ვიხილავთ თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ არტურ მილერის „სეილემის პროცესს“ და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სტუდენტი მსახიობებისთვის ძალზე მტკივნეული, ჯერ კიდევ ბოლომდე გაუცნობიერებელია უფროსი თაობის მიერ შემოთავაზებული პრობლემების სიღრმისეული წვდომა, ვფიქრობ, აუცილებელია კვლავ გავიხსენოთ და გავიაზროთ ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდი, სისხლიანი წლები, სახელოვანი ავტორების ნააზრევი, მათ მიერ შეფასებული მსოფლიო ისტორიის მრავალმხრივ ტრაგიკული XX საუკუნის 20-30-იანი წლების კატაკლიზმები, მით უფრო, რომ შესაძლოა მართლაც იკვეთებოდეს მასთან დღევანდელობის გარკვეული პარალელები.

ჯიახ, ჟამიანობა, ასეთი უსიამოვნო სახელწოდება მოვუძებნე ჩემს ნაშრომს, რადგან ძალზე სახიფათო ეპოქის დასაწყისში ვიმყოფებით. ვფიქრობ, აუცილებელია, თეატრალებმაც მეტი ყურადღება დაუთმონ მიმდინარე პროცესების ანალიზს, არ ასცდნენ სინამდვილის ობიექტურ შეფასებას, რაც მათ პირდაპირ მოვალეობადაც მესახება. გაუთვალისწინებელი სირთულეებით დატვირთული თანადროული სინამდვილე სულ უფრო ახალ გამოწვევებს გვთავაზობს. იგი უსწრაფესად მოითხოვს ჩვენგან არაპროგნოზირებად სინამდვილესთან ადაპტირებას, კრიტიკულ აზროვნებას, მობილურობას, სწორი რეაგირების ფორმების შემუშავებას. ამ არცთუ უხიფათო რეალობაში სათეატრო ხელოვნების მოღვაწეებმაც უნდა გაითვალისწინონ შექმნილი სიტუაცია და მოიძიონ ახალი ათასწლეულის მთავარ პრობლემებზე ზუსტი რეაგირების ფორმები, მესამე ხელისუფლების აღსრულების პრაქტიკულად საჭირო მეთოდები.

XXI საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში კვლავ გაისმა ჩვენი ყოველდღიური ყოფისათვის აქამდე თითქმის გაუცხოვებული ცნებები – პანდემია, ომი, ფაშიზმი, სამყაროს აღსასრულის მოახლოვება. საზოგადოებამ ისევ გაიხსენა გასული საუკუნის დასაწყისში შექმნილი, ამჯერად თითქოსდა მოძველებული ნაშრომები, რომანები, პიესები. ახალი თვალთახედვით დავიწყეთ ახლო წარსულის განჩხრეკა, კრიზისული პერიოდების ანალიზი. სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდა გონივრული სიმშვიდის შენარჩუნება, ჯანსაღი აზროვნების გააქტიურება, სწორი დასკვნების გამოტანა. გაცხადდა, რომ ისტორია მეორდება და XXI საუკუნის დასაწყისი ლამის ნათესაურ კავშირში იმყოფება XX საუკუნის 20-იან წლებთან. ამიტომაც საინტერესო აღმოჩნდა ალბერ კამიუს „შავი ჭირი!“,[1] განსაკუთრებით კი 1948 წელს დაწერილი ჯორჯ ორუელის „1984 წელი“ ანუ „უკანასკნელი ადამიანი ევროპაში“,[2] ოლდოს ჰაქსლის „საოცარი ახალი სამყარო“ (1932),[3] 1953 წელს გამოქვეყნებული რეი ბრედბერის „ფარენჰაიტით 451“,[4] ევგენი ზამიატინის მიერ 1921 წელს შექმნილი ანტიტოტალიტარული რომანი „ჩვენ“[5] და სხვა. ისინი მრავალი წლის მანძილზე უტოპიურ თხზულებებად იყო აღიარებული, ამჯერად კი ანტიუტოპიურ თუ დისტოპიურ თხზულებებად, გაფრთხილებადაა მიჩნეული, სადაც ჩვენი არცთუ საამური ახლო მომავლის რეალობაა აღწერილი, რაც ნაწილობრივ უკვე ახდა კიდეც.

აღსანიშნავია, რომ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სასწავლო თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკა პროფესიულ თეატრებზე სწრაფად და აქტიურად შეეხმიანა ჩვენს რეალობაში წარმოქმნილ ცვლილებებს. მიმდინარე სეზონში პანდემიისა თუ ფაშიზმის ნარატივის, მისი მოტივაციის შთამბეჭდავი ილუსტრირებით იქნა ნაჩვენები XX საუკუნის ცნობილ დრამატურგთა პიესები: კარლ ჩაპეკის „თეთრი ჭირი“, ალექსანდრე ქანთარიას „მარიამობის თვე 1924“, ჯონ პრისტლის „დრო და ქონვეის ოჯახი“, ართურ მილერის „სეილემის პროცესი“, ედუარდო დე ფილიპოს „შიში ნომერი ერთი“ და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სტუდენტი მსახიობებისთვის რთული და მტკივნეულია არსებული პრობლემების სიღრმისეული წვდომა, ახალგაზრდებმა დამაჯერებლად შექმნეს არაერთი მაღალმხატვრული სცენური სახე, მძაფრად დახატეს ჩვენი ტურბულენტური ეპოქის პორტრეტი. დადგმული სპექტაკლებიდან ცხადი ხდება, რომ აუცილებელია კვლავ გავიხსენოთ და გავიაზროთ გასული საუკუნის სისხლიანი წლები, სახელოვანი ავტორების მიერ შეფასებული მსოფლიო ისტორიის ტრაგიკული XX საუკუნის 20-30-იანი წლების კატაკლიზმები, მით უფრო, რომ შესაძლოა მართლაც იკვეთებოდეს მასთან გარკვეული პარალელები. როგორც ცნობილია, ის, ვინც ინფორმირებულია, შეიარაღებულია.

უპირველესად უნდა აღინიშნოს ტრაგიკული ბედის მქონე XX საუკუნის ცნობილი ჩეხი მწერლის კარელ ჩაპეკის (1890-1938) პიესა „თეთრი ჭირის“ დადგმა სახელწოდებით „თეთრი ჟამი“.[6] 1937 წელს დაწერილი მკვეთრად ანტიფაშისტური პიესა რუსთავის თეატრისა და სტუდენტების პირველი კოლაბორაციული ნამუშევარია, რომელიც სოსო ნემსაძემ დადგა (პიესის თარგმანი ეკუთვნის – თამაზ გოდერძიშვილს, მხატვრები – ელენე მეგრელიშვილი, ანი ბედელაძე სამხატვრო აკადემიის მესამე კურსის სტუდენტები არიან, კომპოზიტორი – გიორგი მაისურაძე, სასცენო მოძრაობა – შოთა გეგიაძის, ვოკალი – კობა კალანდაძის).

აღსანიშნავია, რომ ჩაპეკის შემოქმედება ორი მსოფლიო ომის შუალედში განვითარდა. მისი შემოქმედება ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია რეალობის ზუსტი აღწერით. პარიზის სორბონის უნივერსიტეტდამთავრებულმა მწერალმა მძაფრად განიცადა ფაშისტების მიერ ჩეხეთის ოკუპაცია. იგი შავი იუმორით ხატავდა თავისი დროის გეოპოლიტიკას. ანტი-ტოტალიტარულ მოსაზრებათა გამო, მას არც კომუნისტური რეჟიმი სწყალობდა, ხოლო ჰიტლერის მთავრობამ პერსონა ნონგრატად გამოაცხადა და ჩეხოსლოვაკიის დაკავებისთანავე მისი დაპატიმრება სცადა. ამ დროისათვის მწერალი უკვე ერთი წლის გარდაცვლილი იყო (გარდაიცვალა 1939 წლის 25 დეკემბერს) და მის ძმას, ჟოზეფს მოუწია საკონცენტრაციო ბანაკში სიცოცხლის დასრულება.

კამიუს „შავი ჭირის“ პირველი გამოცემის დროისათვის, ჩაპეკის „თეთრი ჭირი“ უკვე 10 წლის გამოქ-

1 კამიუ, გაკვეთილი, არილი, 2014, #7.
2 ფრომი. ორუელის 1984, არილი.
3 1984 ჰაქსლის წერილი, litagora, 20, 2015
4 ჯინჭარაძე, დისტოპიური რომანი, 2018.
5 Лекманов, „Мы“.
6 ჩანგელია, ეპიდემია | Theatrelifege

ვეყნებული იყო. „თეთრი ჭირი“ ჩაპეკის ერთ-ერთი უკანასკნელი პიესაა, სადაც ავტორი გაბედულად აღწერდა იმდროინდელი პოლიტიკური მაფიის მიზანსწრაფვებს, რაც კონკრეტული პერიოდით არ აღმოჩნდა შემოსაზღვრული. პიესაში აღწერილია პატარა უსახელო ქვეყნის კრიტიკული ყოფა XX საუკუნის დასაწყისში, რომლის მმართველიც „მცირე სახელმწიფოთა“ დაპყრობითი ომებით იყო გატაცებული. ომის პარალელურად ქვეყანაში გაჩენილი ე.წ. „თეთრი ჭირი“ კი, მსხვერპლის სხეულზე თეთრი ლაქების წარმოქმნით იწყებოდა, სწრაფი ტემპით ვითარდებოდა და გაუსაძლისი ტანჯვითა და ლეტალური ფინალით მთავრდებოდა. დაავადებულნი უმთავრესად საშუალო ასაკის ადამიანები იყვნენ, ხოლო ახალგაზრდობა ხარობდა. ისინი იმედოვნებდნენ რომ მზარდი უმუშევრობის დროს, პანდემია პოზიტიურ სამსახურს გაუწევდათ. ასეთ პირობებში ყველასათვის უცნობი ექიმი გალენი, მის მიერ მიგნებული ვაქცინით მხოლოდ ღარიბებს მკურნალობდა. მდიდრებისადმი მისი ულტიმატუმი ურყევი იყო – აიძულონ ხელისუფლება ბარბაროსული ომი შეწყვიტოს, რაც მიუღებელია მოგებაზე ორიენტირებული მთავრობისა და ახალგაზრდებისთვის.

სპექტაკლში ახალგაზრდა მსახიობმა, ნიკოლოზ გაგნიძემ შექმნა უსაზღვროდ კორუმპირებული პროფესორ სიგელიუსის სახე. კლინიკის მეპატრონე, არცთუ ახალგაზრდა და ჯანგატეხილი ექიმი, არაფრად აგდებდა საკუთარ ასაკსა და მდგომარეობას. დიდ ფულს დახარბებული ე.წ. პროფესორი, ცდას არ აკლებდა, მომგებიანად ევაჭრა პანდემიით, ხელისუფლებასთან ალიანსით, გზიდან ჩამოეშორებინა მეტოქე და დაპატრონებოდა სასურველ ვაქცინას.

მსახიობი ლაშა გაბუნია გააზრებულად ქმნიდა პოლიტიკური მაფიის მავნებლური ქმედებებით თავზარდაცემული, მტკიცე ნებისყოფის, კეთილშობილი ახალგაზრდა ექიმი გალენის სახეს. იგი უშიშრად იცავდა სიღარიბის გამო დაუცველ ადამიანებს, ბოლომდე ერთგულებდა თავის პრინციპებს, მარადიულ ღირებულებებს და ეწირებოდა კიდეც მას. მარტოსული ექიმის პატიოსნება, ბრძოლა ომისა და პანდემიის წინააღმდეგ, – უტოპიურ მოთხოვნად ეჩვენებოდა ყველას. მსახიობის მიერ განსახიერებული გმირით, სცენაზე შეიქმნა მშვიდობისათვის თავგანწირული ინტელექტუალის ტრაგიკული მარტოობის, მისი განწირულების თავზარდამცემი სურათი.

პიესაში და შესაბამისად სპექტაკლშიც, ექიმი გალენის გარდა, ყველა მომხვეჭელობის სენით დაავადდა. ამიტომაც უშედეგოდ მთავრდებოდა ნიკოლოზ გვაზავას მიერ განსახიერებული, ეპიდემიით გაწამებული ბარონი კრიუგის, მარშლის ამ უახლოესი ნათესავისა და თანამოაზრის მცდელობა – დიდი ფულით მოეპოვებინა გალენის ვაქცინა, ან ვედრებით მოეხდინა ზემოქმედება ომისა და მოგების აზარტით შეშლილ მარშალზე, რომლის სახეშიც ჩვენი საუკუნის არაერთი მმართველის არტისტული თუ ექსცენტრიული სახე იკვეთებოდა.

ლაშა მებუკეს მიერ განსახიერებული, უკიდურესად ცინიკური, პატარა ერების განადგურებისა და ახალი მიწების დაპყრობა-შემოერთების ჟინით შეპყრობილი მარშალიც, ძალზე გვიან, ეპიდემიის სასიკვდილო, მტანჯველი ტკივილების აგონიაში თანხმდებოდა ექიმ გალენის ულტიმატუმს. პიესის ავტორის შესატყვისად, რეჟისორიც იმედის სხივსაც არ უტოვებს მაყურებელს. სპექტაკლს ამთავრებდა უკომპრომისო, ლოგიკური ფინალი. სარგებლიანი საომარი პოლიტიკის ეიფორიით დასნეულებული, რობოტებად ქცეული ახალგაზრდები, იონესკოს მარტორქებივით მსხვერპლად იწირავდნენ კეთილშობილ ექიმს, ანადგურებდნენ ვაქცინას და სპობდნენ როგორც თანამოქალაქეების, ისე საკუთარი თავის გადარჩენის უკანასკნელ იმედს.

დადგმაში საკმაოდ კოლორიტული, განზოგადებული პორტრეტი იქნა წარმოდგენილი მარიამ ქანთარიას მიერ განსახიერებული ჟურნალისტის სახით. მსახიობი თამაშობდა ხელისუფლების რეკლამისტს და არა სიმართლის მსახურს. თავზარდამცემი იყო ინდიფერენტული, აგრესიული, თითქმის რობოტებად გადაქცეული ახალგაზრდების სახეებიც. მასობრივ სცენებში მონაწილე, ფერად სამოსში გამოწყობილი ფერადთმიანი ახალგაზრდების ხმაურიანი, გულგრილი, სახედაკარგული, უპიროვნო ჯგუფი არცთუ საიმედო მომავლის საგანგაშო განცდას ტოვებდა.

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში დაიდგა აგრეთვე ალექსანდრე ქანთარიას „მარიამობის თვე 1924“. სპექტაკლი დაეფუძნა დოკუმენტური მასალების კოლაჟს. სპექტაკლში განსხეულებულმა ამბავმა ასახა საქართველოს გასაბჭოების შედეგად განვითარებული მოვლენები. ერთმორწმუნე მეზობლის მიერ დამხობილი ქართული სამეფო სახლისა და ერის საუკეთესო ნაწილის განადგურების ფაქტების პარალელურად, წარმოდგენაში უმნიშვნელოვანესი იყო მიზანსცენა, სადაც ცეკვა ქართულის ჰაეროვანი, უნაზესი მუსიკალური ფონი ჩაიხშო-გადაიფარა თავადაზნაურთა დარბევისა და დახვრეტის სცენით (სპექტაკლის მუსიკალური გამფორმებელი – ალექსანდრე ქანთარია,

ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე).

სახელოვანი ქართველი რეჟისორის – თემურ ჩხეიძის ბოლო ნამუშევარში – ამერიკული დრამატურგიის კლასიკოსის, ართურ მილერის „სეილემის პროცესში" (სპექტაკლი დაასრულა თემურ ჩხეიძის ასისტენტმა მაია დობორჯგინიძემ, თუმცა წარმოდგენის ძირითადი კონცეფცია, ბუნებრივია, დიდი რეჟისორის ხელწერით იქნა გამორჩეული) შესამჩნევი გახდა დიდი რეჟისორის უნიკალური სკოლა, ზუსტი ინტონაციის მიგნებისა და სიტყვის უნაკლოდ გაჟღერების ხელოვნება. დადგმაში გამოიკვეთა ხელისუფლებისა და რელიგიის მსახურთა დანაშაულებრივი ალიანსი. მათ მიერ საკუთარი ძალაუფლების გაფართოვების მარად დაუძლეველი წადილი, ხალხის უუფლებო, უპიროვნო მასად გადაქცევის, საზოგადოებაში ტოტალური შიშისა და მორჩილების დასამკვიდრებლად ახალგაზრდების უმნიშვნელო ცელქობის სასურველი მიმართულებით წარმართვის უსასტიკესი მეთოდები. სამსახიობო ნამუშევართა შორის გამორჩეული იყო ნიკოლოზ ბაქრაძის მიერ შექმნილი უკონტროლო ძალაუფლებით, დაუსჯელობის სინდრომით, ხალხის დაუცველობით გათავხედებული, ცინიკური და თავდაჯერებული ადვოკატის სახე.

გიორგი ქანთარიას მიერ დადგმული XX საუკუნის ბრიტანელი კლასიკოსის, ჯონ პრისტლის „დრო და ქონვეის ოჯახი" (1937), წარმოაჩენდა მსოფლიო ისტორიის გარდამავალ პერიოდებში აღმოცენებული უაღრესად საშიში კასტის – მოხერხებული, სისასტიკით გამორჩეული თაღლითების კორუფციულ საქმიანობას, მათ მიერ ძველი, დიდგვაროვანი ადამიანების მიმართ ჩადენილ მტაცებლურ ქმედებებს.

ნანა ხუსკივაძის მიერ დადგმული XX საუკუნის ცნობილი იტალიელი კომედიოგრაფის, რეჟისორის, მსახიობისა და სცენარისტის, ედუარდო დე ფილიპოს „შიში ნომერი ერთი", სხარტი იუმორით, სახალისო და დინამიკური სიტუაციების ოსტატური ნაზავით, მსუბუქი დიალოგებით გათამაშდა. სატირული ხასიათის პერსონაჟების რეალისტური ბუნება ზუსტად გადმოსცემდა იმ რთულ სინამდვილეს, რომელიც გასული საუკუნის 20-30-იან წლებში დაატყდა თავს იტალიას და იმავდროულად ჩვენი სინამდვილის რეალისტურ სანახაობადაც წარმოგვიდგა. სპექტაკლში, ომის მიმართ პანიკური შიშით დათრგუნვილი ოჯახის უფროსის მთავარ როლს დიდი ოსტატობით ქმნიდა მსახიობი გიორგი ტაბიძე.

დასასრულს უნდა აღვნიშნო, რომ სასწავლო თეატრის მიმდინარე თეატრალური სეზონი უხვი და საინტერესო რეპერტუარით გამოირჩეოდა. თითოეული მათგანი მკაფიოდ რეაგირებდა ჩვენი შფოთიანი, პრობლემური სინამდვილის უმძაფრეს თემებზე. სასწავლო თეატრის სცენაზე წარმოდგენილი სპექტაკლები გასული საუკუნის დასაწყისის დრამატურგიას დაეფუძნა. მათში მართლაც შესამჩნევი გახდა იდენტური თემები, სახასიათო სახეები. ისევე როგორც იმდროინდელი საზოგადოება, ჩვენი თანამედროვენიც ფსიქოზით დაავადდნენ. მაშინაც ისევე, როგორც დღეს, „ფსიქოანალიტიკოსებთან, რომელთა შორისაც ჭარბობდნენ თაღლითები, ლამის ოჯახებით, ჩვილი ბავშვებით, ძაღლებითა და კატებითაც დაქროდნენ შეშინებული, მრავალგვარი ფობიებით ტანჯული ადამიანები, მათ შორის მასობრივი ფსიქოზით დაავადებული ინტელექტუალები".[7]

გამოყენებული ლიტერატურა:

- კამიუს გაკვეთილი, ჟურნ. არილი, #7, 2014.
- ფრომი ე., ჯორჯ ორუელის 1984, ჟურნ. არილი, #7, 2001.
- 1984 VS საოცარი ახალი სამყარო, ოლდოს ჰაქსლის წერილი, litagora, April 20, 2015.
- ჯინჭარაძე ნ., მარგარეტ ეტვუდი და დისტოპიური რომანი, ბათუმი, 2018.
- Лекманов О., 7 секретов романа „Мы", https://arzamas.academy, М. Ю. Любимова, Дж. Куртис. СПб., 2011.
- ჩანგელია ტ., თეატრი და ეპიდემია, ქართული ფოტოს ელ. არქივი, https://www.theatrelife.ge
- Гинзбург М., «Одна жизнь — два мира» - Алексеева Нина Ивановна, https://www.litmir.me

7 Мира Гинзбург "Одна жизнь — два мира" - Алексеева Нина Ивановна, https://www.litmir.me

PESTILENCE

Tamar Kutateladze

Keywords: *Alexander Kantaria, Karl Chapek, pandemic, war, fascism*

Contemporary reality has turned out to be extremely interesting, suffused with many unforeseen difficulties, which in itself offers new challenges, urgently requires us to adapt to increasingly new, unpredictable reality, to develop critical thinking, mobility, and the development of correct response forms. I think that in this not-so-dangerous reality, theatrical artists themselves should take into account the current situation and find ways to respond accurately to the main problems of the new millennium, to improve public relations, consolidate, and implement a third government in a crisis situation.

In the early 1920s, concepts almost unfamiliar to our daily lives resurfaced, such as the pandemic series, war, fascism, the approach of the end of the world, Judgment Day, the Second Coming, or other impending apocalyptic themes. The public again recalled the seemingly outdated works and plays created in the early 20th century, this time with a new perspective began to search the recent past, analyzing difficult periods. Even more important, it became vital to maintain a reasonable calm, to activate healthy thinking, to draw the right conclusions. It has been said that history repeats itself and the beginning of the 21st century is related to Lama with the 1920s. That is why *The Plague* by Camus, recognized as a utopian work for many years, turned out to be especially interesting. The repertory policy of the Teatro Theatre of the University of Theatre and Film has also responded to the changes that have taken place in our reality. In the current season, Karl Chapek's *White Hour* performed by Soso Nemsadze, and Alexander Kantaria's *Mariamobis Tve* 1924 are staged, and we will soon see Arthur Miller's *The Crucible* staged by Temur Chkheidze, and others. While it may still be very painful for student actors to have an in-depth understanding of the problems posed by the older generation, I think it is necessary to recall and understand the most important period of our history, the bloody years, the thought of famous authors, their world history. The cataclysms of the 1920s-1930s, especially since some parallels may indeed be drawn with it.

Yes, temporality, I found such an unpleasant name for my work, because we are at the beginning of a very dangerous era. I think it is necessary for the theatre community to pay more attention to the analysis of current processes, not to go beyond the objective assessment of reality, which is their direct duty. Contemporary reality, suffused with unforeseen difficulties, offers more and more new challenges. It urgently requires us to adapt to the unpredictable reality, critical thinking, mobility, development of correct forms of response. In this not-so-dangerous reality, theatre artists should also take into account the created situation and find forms of accurate response to the main problems of the new millennium, practically necessary methods of enforcing the third government.

At the turn of the 21st century, concepts that were almost alien to our daily existence—pandemic, war, fascism, the approach of the end of the world—were heard again. Society again remembered the works, novels, plays created at the beginning of the last century, this time seemingly outdated. With a new point of view, we started investigating the recent past, analyzing crisis periods. It has become vitally necessary to maintain reasonable calm, to activate healthy thinking, to draw correct conclusions. It was announced that history repeats itself and the early 21st century is closely related to the 1920s. That's why I found "The Plague"[1] by Albert Camus's interesting, also George Orwell's "1984" written

1 Camus, 2014, #7.

in 1948, i.e. "The Last Man in Europe"[2], Aldous Huxley's Brave New World (1932)[3], Ray Bradberry's "Fahrenheit 451"[4] published in 1953, the anti-totalitarian novel "We"[5] authored by Evgeny Zamyatin in 1921, and others. For many years, they were recognized as utopian writings, but this time they are considered anti-utopian or dystopian, a warning, where the reality of our not-so-near future is described, which has already partially come true.

Notably, the repertory policy of the University of Theatre and Cinema training theatre on professional theatres quickly and actively responded to the changes in our reality. In the current season, the plays of famous playwrights of the 20th century were shown with an impressive illustration of the narrative of pandemic or fascism: *The White Plague* by Karl Chapek, *The Virgin Mary 1924* by Alexander Kantaria, *Time and the Conway Family* by John Priestley, *The Crucible* by Arthur Miller, Eduardo de Filippo's *Fear Number One*, and others. Although it may be difficult and painful for student actors to go deep into the current issues, the young people convincingly created a number of highly artistic stage looks, poignantly painting a portrait of our turbulent era. From the staged performances, it becomes clear that it is necessary to remember and understand the bloody years of the last century, the tragic cataclysms of the 1920s-1930s, evaluated by famous authors, especially since some parallels may indeed be drawn with it. As is known, he who is informed is armed.

First of all, it should be noted that the play *White Plague* by famous Czech writer Karel Čapek (1890 - 1938) with the tragic fate of the 20th century was staged under the name White Hour. The strongly anti-fascist play written in 1937 is the first collaborative work of Rustavi Theatre and students, staged by Soso Nemsadze (translation of the play by Tamaz Goderdzishvili, artists Elene Megrelishvili, Ani Bedeladze [third-year students of the Academy of Arts], composer Giorgi Maisuradze, stage movement Shota Gegiadze, vocals Koba Kalandadze)[6].

It is worth noting that Čapek's creativity developed between the two world wars. His work is known in the history of literature for its accurate description of reality. The writer, who graduated from the Sorbonne University in Paris, experienced the occupation of the Czech Republic by the fascists. He painted the geopolitics of his time with dark humor. Due to his anti-totalitarian views, he was not spared by the communist regime either, and Hitler's government declared him persona non grata and tried to arrest him immediately after the occupation of Czechoslovakia. By this time, the writer had already been dead for a year (he died on December 25, 1939), and his brother Joseph had to end his life in a concentration camp.

At the time of the first edition of *The Plague* by Camus', Čapek's White Plague had already been published for 10 years. White Plague is one of Čapek's last plays, where the author boldly described the goals of the political mafia of that time, which were not limited to a specific period. The play describes the critical existence of a small nameless country at the beginning of the 20th century, whose ruler was engrossed in wars of conquest of "small states". In parallel with the war, the so-called "white plague" started with the formation of white spots on the victim's body, developed at a rapid pace and ended with unbearable suffering and a fatal finale. The sick were mainly middle-aged people, while the youth were happy. They hoped that the pandemic would serve a positive purpose at a time of rising unemployment. In such conditions, doctor Galen, unknown to everyone, treated only the poor with the vaccine he found. His ultimatum to the rich was unwavering - to force the government to end the barbaric war, which was unacceptable to the profit-oriented government and the youth.

In the play, young actor Nikoloz Gagnidze created the image of infinitely corrupt Professor Sigelius. The owner of the clinic, a not-so-young and ill-fated doctor, didn't care about his age and condition. The so-called greedy for big money professor did not fail to try to profitably attack the pandemic, in alliance with the government, to remove the undesirable opponent from the road and to get the desired vaccine.

Actor Lasha Gabunia thoughtfully created the image of a strong-willed, noble young doctor Galen, who was

2 Fromm. Orwell's 1984.
3 1984 Huxley, 2015.
4 Jincharadze, dystopian novel, 2018.
5 Lekmanov, "We".
6 Changelia, epidemic, 2022.

enraged by the harmful actions of the political mafia. He fearlessly protected the vulnerable people due to poverty, he was loyal to his principles, eternal values and even sacrificed himself for them. The honesty of a lonely doctor, the fight against war and pandemic, seemed like a utopian demand to everyone. In the form embodied by the actor, a dizzying picture of the tragic loneliness of the intellectual who sacrificed himself for peace, his doom was created on the stage.

In the play, and therefore in the play, everyone except for Dr. Galen was infected with scurvy. That is why the attempt of the closest relative and associate of Marshall, Baron Krug, tortured by the epidemic, played by Nikoloz Gwazawa, to get Galen's vaccine with a lot of money, or to influence the war and profit-crazed Marshal, whose face showed the artistic or eccentric face of many rulers of our century, ended in vain.

The extremely cynical marshal embodied by Lasha Mebuke, obsessed with the desire to destroy small nations and conquer and annex new lands, too late, in the agony of the deadly, excruciating pains of the epidemic, agreed to Dr. Galen's ultimatum. To match the author of the play, the director does not leave even a ray of hope to the audience. The performance ended with an uncompromising, logical finale. Sickened by the euphoria of a useful war policy, young people turned into robots, like Ionesco's rhinoceros, slaughtered the noble doctor, destroyed the vaccine and destroyed the last hope of saving both their fellow citizens and themselves.

In the production, a rather colorful, generalized portrait was presented in the form of a journalist played by Mariam Kantaria. The actor played a publicist of the government and not a servant of truth. The faces of indifferent, aggressive, almost robot-turned young people were also stunning. A noisy, indifferent, faceless, impersonal group of colorful-haired youths participating in mass scenes, left an alarming feeling of an uncertain future.

Alexander Kantaria's *Mariamobis Tve* 1924 was also staged at the University of Theatre and Cinema. The performance was based on a collage of documentary materials. The story embodied in the play reflected the events developed as a result of the Sovietization of Georgia. Along with the facts of the destruction of the Georgian royal house and the best part of the nation overthrown by a single-minded neighbor, the mise-en-scène was the most important in the performance, where the airy, soothing musical background of the Georgian dance was suppressed and overshadowed by the scene of raiding and shooting of the nobility (musician of the performance is Aleksandre Kantharia, choreographer Kote Furtseladze).

In the last work of the famous Georgian director Temur Chkheidze, *The Crucible* by Arthur Miller, a classic of American dramaturgy (the play was completed by Temur Chkheidze's assistant Maya Doborjginidze, although the main concept of the play was naturally distinguished by the great director's signature) the great director's unique school, accurate intonation and the art of sounding the word flawlessly. The criminal alliance of the government and religious servants was highlighted in the play. Their ever-unstoppable drive to expand their own power, turning the people into a disenfranchised, impersonal mass, the cruelest methods of directing the insignificant teasing of young people in the desired direction to establish total fear and obedience in the society. Among the acting works, the face of a cynical and self-confident lawyer created by Nikoloz Bakradze with uncontrollable power, the syndrome of impunity, and the insecurity of people was outstanding.

Time and the Conway Family (1937), a British classic of the 20th century staged by Giorgi Kantaria, presents the corrupt activities of the extremely dangerous caste, which emerged during the transitional periods of world history: convenient, cruel fraudsters, and their predatory actions against old, noble people.

Fear Number One by famous 20th-century Italian comedian, director, actor and screenwriter Eduardo De Filippo, staged by Nana Khuskivadze, was played with humor, skillful playing of amusing and dynamic situations, and light dialogues. The realistic nature of the satirical characters accurately conveyed the difficult reality that befell Italy in the 1920s-1930s, and at the same time presented us with a realistic view of our reality. Actor Giorgi Tabidze played the main role of the head of the family depressed by panic fear of war in the play.

In conclusion, I should mention that the current theatrical season of the educational theatre was distinguished by an abundant and interesting repertoire. Each of them clearly responded to the most intense themes of our troubled, troubled reality. The performances

presented on the stage of the educational theatre were based on the dramaturgy of the beginning of the last century. Identical themes, characteristic features became really noticeable in them. Like the society of that time, our contemporaries also fell ill with psychosis. Then, as well as today, "with psychoanalysts, among whom frauds predominated, there were frightened people suffering from various phobias, including intellectuals suffering from mass psychosis, lama families, babies, dogs and cats."[7]

REFERENCES:

- კამიუს გაკვეთილი, ჟურნ. არილი, #7, 2014.
- ფრომი ე., ჯორჯ ორუელის 1984, ჟურნ. არილი, #7, 2001.
- 1984 VS საოცარი ახალი სამყარო, ოლდოს ჰაქსლის წერილი, litagora, April 20, 2015.
- ჯინჭარაძე ნ., მარგარეტ ეტვუდი და დისტოპიური რომანი, ბათუმი, 2018.
- Лекманов О., 7 секретов романа „Мы", https://arzamas.academy, М. Ю. Любимова, Дж. Куртис. СПб., 2011.
- ჩანგელია ტ., თეატრი და ეპიდემია, ქართული ფოტოს ელ. არქივი, https://www.theatrelife.ge
- Гинзбург М., «Одна жизнь — два мира» – Алексеева Нина Ивановна, https://www.litmir.me

7 Mira Ginzburg "One life – two worlds" – Alekseeva Nina Ivanovna, https://www.litmir.me



1. სცენა სპექტაკლიდან — კარლ ჩაპეკის „თეთრი შავი“, რეჟ. სოსო ნემსაძე, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სასწავლო თეატრი, 2021.
A SCENE FROM THE PLAY “THE WHITE PLAGUE” BY KARL CHAPEK, DIRECTED BY SOSO NEMSADZE, THEATRE AND CINEMA UNIVERSITY TRAINING THEATRE, 2021.

2. სცენა სპექტაკლიდან — ართურ მილერის „სეილემის პროცესი“, რეჟ. თემურ ჩხეიძე, მაია დობორჯგინიძე, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სასწავლო თეატრი, 2022.
A SCENE FROM THE PLAY “THE SALEM PROCESS” BY ARTHUR MILLER, DIR. TEMUR CHKHEIDZE, MAYA DOBORJGINIDZE, THEATRE AND CINEMA UNIVERSITY TRAINING THEATRE, 2022.

3. სცენა სპექტაკლიდან „მარიამობის თვე 1924“, რეჟ. ალექსანდრე ქანთარია, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სასწავლო თეატრი, 2021.
A SCENE FROM THE PLAY “MONTH OF MARY 1924”. DIR. ALEXANDER KANTARIA, UNIVERSITY OF THEATRE AND CINEMA TRAINING THEATRE, 2021.

4. სცენა სპექტაკლიდან — ედუარდო დე ფილიპოს „შიში ნომერი ერთი“, რეჟ. ნანუკა (ნანა) ხუსკივაძე, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სასწავლო თეატრი, 2021.
A SCENE FROM THE PLAY “FEAR NUMBER ONE” BY EDUARDO DE FILIPPO, DIR. NANUKA (NANA) KHUSKIVADZE, THEATRE AND CINEMA UNIVERSITY TRAINING THEATRE, 2021.